

ქალაქ გორში ნინოშვილის ქუჩის სავალი ნაწილის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #2

NAT180001968

ქ. გორი

07 თებერვალი 2018 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის სამუშაო ოთახში.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გელა კაპანაძე - კომისიის თავმჯდომარე, გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

თეიმურაზ მანველიშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დალი ტლაშაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

მირიან კლიმიაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ზურაბ ჯალაღანია - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

სატენდერო აპარატის შემადგენლობა:

ალექსანდრე თარხნიშვილი - აპარატის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი;

დღის წესრიგი:

ქალაქ გორში ნინოშვილის ქუჩის სავალი ნაწილის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) (NAT180001968) მექანიკური შეცდომის გასწორების შესახებ.


სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ალექსანდრე თარხნიშვილმა სატენდერო კომისიას მოახსენა რომ გამოცხადებულ ტენდერში შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა, კერძოდ - შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრულია 1 191 187 (ერთი მილიონ ასოთხმოდათერთმეტი ათას ასოთხმოცდაშვიდი) ლარი ნაცვლად 1 091 187 (ერთი მილიონ ოთხმოდათერთმეტი ათას ასოთხმოცდაშვიდი) ლარისა.

სატენდერო კომისიამ იმსჯელა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების და შეთავაზების ფასის კლების ბიჯის დაკორექტირების საკითხის შესახებ, რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.

კომისიამ დაადგინა:

1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 1091 187 (ერთი მილიონ ოთხმოცდათერთმეტი ათას ასოთხმოცდაშვიდი) ლარით დ.დ.გ.-ს ჩათვლით;
2. ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 10 912 (ათი ათას ცხრაასთორმეტი) ლარი;
3. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული ცლილებების შეტანა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე



გელა კაპანაძე

კომისიის წევრები



თეიმურაზ მანველიშვილი



დალი ტლაშაძე



მირიან კლიმიაშვილი



ზურაბ ჯვალადანია

კომისიის აპარატის წევრი



ალექსანდრე თარხნიშვილი